საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
Georgian Football Federation

N997

13 ნოემბერი, 2026 წელი

ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის"

სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტს

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

*საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" მიერ 2026 წლის 29 სექტემბერსა და 11 ნოემბერს ქალთა ეროვნული ლიგის მატჩების ჩაშლის, სადისციპლინო დებულების დარღვევისა და შესაბამისი სანქციების გამოყენების მოთხოვნის შესახებ*

*მოპასუხე: საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი" და ფეხბურთელები* [redacted]

I. ფაქტობრივი გარემოებები

2026 წლის ქალთა ეროვნული ლიგის ჩემპიონატის ფარგლებში საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" მხრიდან ადგილი ჰქონდა ორ შემთხვევას, რომელსაც გუნდის მოქმედებების შედეგად ჩაიშალა მატჩები. ორივე შემთხვევაში ქმედებები ხასიათდებოდა არსებითად ერთნაირი სქემით და მიმართული იყო არა სპორტული შეჯიბრების ჩვეულებრივი წესით ჩატარებისკენ, არამედ მატჩის ჩაშლისა და სპორტული ღონისძიების საპროტესტო მიზნებისთვის გამოყენებისკენ.

1. 2026 წლის 29 სექტემბრის მატჩი

2026 წლის 29 სექტემბერს ქალთა ეროვნული ლიგის ფარგლებში გაიმართა მატჩი, რომელშიც მასპინძელი გუნდი იყო საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი", ხოლო სტუმარი გუნდი „ნიკელოსი".

აღნიშნულ შეხვედრაში საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" ფეხბურთელები გამოვიდნენ მოედანზე, გაშალეს ბანერი, მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთს ფეხი დაარტყეს და პროტესტის ნიშნად დატოვეს სტადიონი. აღნიშნული მოქმედებების შედეგად მატჩი ჩაიშალა და შეხვედრა ვერ ჩატარდა.

ფედერაციის პოზიციით, ამ შემთხვევაში მოედანზე ფეხბურთელების ფორმალური გამოსვლა არ შეიძლება შეფასდეს მატჩში რეალური მონაწილეობის დაწყებად. ქმედებათა

თანმიმდევრობა, მათი ხასიათი და თანდართული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ფეხბურთელთა მოქმედება ემსახურებოდა წინასწარ განსაზღვრული საპროტესტო სცენარის განხორციელებას და არა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობას.

2. 2026 წლის 11 ნოემბრის მატჩი

მსგავსი ხასიათის ქმედება განმეორდა 2026 წლის 11 ნოემბერსაც, როდესაც საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა" კვლავ ჩაშალა მატჩი.

მეორე შემთხვევაშიც გუნდის ქცევა არსებითად იმეორებდა 29 სექტემბერს განხორციელებულ მოქმედებათა სქემას. შესაბამისად, საქმე არ გვაქვს ერთჯერად, შემთხვევით ან მხოლოდ კონკრეტული მატჩის მიმდინარეობისას წარმოშობილ ემოციურ რეაქციასთან. ორი სხვადასხვა თარიღის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს ერთი და იმავე ტიპის ქმედების განმეორებაზე.

3. წინასწარი განზრახვისა და ფორმალური გამოსვლის საკითხი:

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს: აღნიშნული მასალების შინაარსი მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, რომ ფეხბურთელთა მოქმედებები არ ყოფილა სპონტანური. ისინი მიუთითებს წინასწარი განზრახვის არსებობაზე და ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ მოედანზე გამოსვლა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო გუნდის რეალური მიზანი მატჩის ჩატარება არ ყოფილა.

სწორედ ამიტომ, კომიტეტმა უნდა შეაფასოს არა მხოლოდ ის ფორმალური გარემოება, რომ ფეხბურთელები მოედანზე გამოვიდნენ, არამედ მათი მოქმედებების სრული თანმიმდევრობა, წინასწარი განზრახვის ნიშნები, მოედანზე გამოსვლის მიზანი და საბოლოო შედეგი.

მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების ერთობლივი შეფასება:

- საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" ფეხბურთელების მოედანზე გამოსვლა;
- ბანერის გაშლა;
- მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთთან დაკავშირებული სიმბოლური მოქმედება;
- პროტესტის ნიშნად სტადიონის დატოვება;
- კლუბის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- მსგავსი ქმედების განმეორება 2026 წლის 11 ნოემბერს;
- ფეხბურთელთა წინასწარი განზრახვისა და მათი მოქმედებების ფორმალური ხასიათის დამადასტურებელი თანდართული მასალები.

აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში უნდა შეფასდეს, რადგან თითოეული მათგანი ცალკე შეიძლება არ ასახავდეს ქმედების სრულ არსს, თუმცა მათი ერთობლიობა ქმნის მატჩის განზრახ ჩაშლის სურათს.

ფედერაციის პოზიციით, ორივე შემთხვევაში საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა" ფორმალურად განახორციელა მოედანზე გამოსვლა, თუმცა რეალურად უარი თქვა მატჩში მონაწილეობაზე და თავისი მოქმედებებით ხელი შეუშალა შეჯიბრების ნორმალურ მიმდინარეობას.

II. მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობის სამართლებრივი კვალიფიკაცია და სადისციპლინო დებულების 86-ე მუხლის მიზნობრივი განმარტება

1. 86-ე მუხლის სამართლებრივი დანიშნულება

სადისციპლინო დებულების 86-ე მუხლი არეგულირებს შეჯიბრების მატჩზე გუნდის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევას და განსაზღვრავს აღნიშნული დარღვევისთვის შესაბამის სპორტულ და სადისციპლინო შედეგებს.

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიგის შეჯიბრებაში, საქართველოს თასის გარდა, მატჩზე გუნდის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდს ეთვლება წაგება ანგარიშით 0:3, მოწინააღმდეგე გუნდს კი ენიჭება გამარჯვება ანგარიშით 3:0. ამასთან, მუხლი ითვალისწინებს შეჯიბრებიდან მოხსნას, მომდევნო ჩემპიონატში ქვედა ლიგაში დაქვეითებასა და დანართი №1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ჯარიმას.

აღნიშნული ნორმის მიზანია, უზრუნველყოს შეჯიბრების მონაწილე გუნდების ვალდებულება, მონაწილეობა მიიღონ დანიშნულ მატჩებში და არ დაუშვან ისეთი ქმედებები, რომლებიც მატჩის ჩატარებას შეუძლებელს ხდის არასაპატიო მიზეზით.

ნორმის მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევის მოწესრიგება ვერ იქნება, როდესაც გუნდი საერთოდ არ გამოცხადდება სტადიონზე. მისი არსებითი დანიშნულებაა შეჯიბრების ნორმალური მიმდინარეობის დაცვა და იმ ქცევის აღკვეთაა, რომლის შედეგადაც გუნდი ფაქტობრივად არ ასრულებს მატჩში მონაწილეობის ვალდებულებას.

2. ნორმის გრამატიკული და ტელეოლოგიური განმარტება

სამართლებრივი ნორმის განმარტება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ნორმის შინაარსის დადგენისას აუცილებელია მისი მიზნის, რეგულირების საგნის, სამართლებრივი სისტემის სხვა ნორმებთან კავშირისა და იმ შედეგის გათვალისწინება, რომლის მიღწევასაც ნორმა ემსახურება.

მოცემულ შემთხვევაში 86-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტება არ უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ ნორმის მიზანი და მისი პრაქტიკული ეფექტიანობა სრულად დაიკარგოს.

თუ გუნდი წინასწარ გეგმავს მატჩში არმონაწილეობას, მოედანზე მხოლოდ ფორმალურად გამოდის, მოქმედებს სიმბოლურად და შემდეგ ტოვებს სტადიონს, მისი ქმედების არსი არ იცვლება მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთელებმა გარკვეული დროით ფიზიკურად დაიკავეს ადგილი მოედანზე.

სამართლებრივი თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა მხოლოდ მოედანზე ფიზიკურად ყოფნის ფაქტი, არამედ ის, ასრულებდა თუ არა გუნდი რეალურად მატჩში მონაწილეობის ვალდებულებას.

სხვა შემთხვევაში მივიღებდით ისეთ შედეგს, როდესაც გუნდი შეძლებდა 86-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას მხოლოდ რამდენიმე ფორმალური მოქმედების შესრულებით. კონკრეტულ შემთხვევებში, გუნდი გამოვიდა მოედანზე, იმოქმედა სიმბოლურად და დაუყოვნებლივ დატოვებდა სტადიონი.

ასეთი განმარტება კარგავს ნორმის ძირითად დანიშნულებას და ქმნის სამართლებრივ შესაძლებლობას, რომ გუნდის მიერ წინასწარ დაგეგმილი მატჩის ჩაშლა დარჩეს პასუხისმგებლობის გარეშე.

ფედერაციის პოზიციით, 86-ე მუხლის მიზანი არის არა მხოლოდ სტადიონზე გამოცხადების ფორმალური ფაქტის უზრუნველყოფა, არამედ მატჩში რეალური მონაწილეობის ვალდებულების დაცვა.

ამიტომ, როდესაც მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ გუნდის მოედანზე გამოსვლა მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო, ხოლო მისი რეალური მიზანი მატჩის ჩაშლა და თამაშზე უარი გახლდათ, კომიტეტმა უნდა შეაფასოს აღნიშნული ქმედება 86-ე მუხლის რეგულირების მიზნიდან გამომდინარე.

3. ნორმის გვერდის ავლის დაუშვებლობა

სამართლებრივი ნორმის მიზნობრივი განმარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა ისეთი ინტერპრეტაციის თავიდან აცილება, რომელიც პირს საშუალებას აძლევს, ფორმალური მოქმედებით გვერდი აუაროს ნორმით დადგენილ ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ ქმედებების შეფასებისას კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოედანზე გამოსვლა თავისთავად არ ადასტურებს მატჩში მონაწილეობის ვალდებულების შესრულებას.

მატჩში მონაწილეობა გულისხმობს თამაშის წესების შესაბამისად სპორტულ პროცესში ჩართვის რეალურ ნებასა და შესაბამის ქცევას. თუ გუნდი წინასწარ გეგმავს მატჩის ჩაშლას, ხოლო მოედანზე გამოსვლა მხოლოდ ამ გეგმის განხორციელების ნაწილია, ასეთი ქცევა ვერ ჩაითვლება 86-ე მუხლით დაცული ვალდებულების კეთილსინდისიერ შესრულებად.

საპირისპირო მიდგომა გამოიწვევდა იმას, რომ გუნდი, რომელიც საერთოდ არ გამოცხადდება მატჩზე, დაექვემდებარება 86-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციას, ხოლო გუნდი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად გამოვა მოედანზე და შემდეგ განზრახ ჩაშლის მატჩს, პასუხისმგებლობას თავიდან აიცილებს. ასეთი განსხვავება არ იქნებოდა გამართლებული არც ნორმის მიზნიდან და არც სპორტული სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

4. კანონიერებისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპების დაცვა

ფედერაცია აცნობიერებს, რომ სადისციპლინო ნორმა, რომელიც ითვალისწინებს მძიმე სპორტულ შედეგებს, უნდა განიმარტოს კანონიერების, სამართლებრივი განსაზღვრულობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით.

ტელეოლოგიური განმარტება არ უნდა იქცეს ახალი დარღვევის ან სანქციის ანალოგიით შექმნის საშუალებად. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ფედერაციის მოთხოვნა არ ემყარება ახალი სანქციის შექმნას. იგი ემყარება მოქმედი 86-ე მუხლის მიზნისა და რეგულირების საგნის შეფასებას.

ფედერაცია ითხოვს, რომ კომიტეტმა დაადგინოს, წარმოადგენდა თუ არა გუნდის ქცევა რეალურად მატჩში მონაწილეობის ვალდებულების შეუსრულებლობას, მიუხედავად მოედანზე ფორმალური გამოსვლისა.

ამ საკითხის გადაწყვეტისას კომიტეტმა უნდა შეაფასოს წინასწარი განზრახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა და მატჩის რეალური მიმდინარეობა.

ფედერაციის პოზიციით, თუ დადასტურდება, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთს“ არ ჰქონდა მატჩის რეალურად ჩატარების განზრახვა და მისი მოქმედება იყო, აღნიშნული ქცევა უნდა შეფასდეს 86-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსთან შესაბამისობაში.

III. FIFA-ს დისციპლინური კოდექსი, Fair Play-ის პრინციპები და სპორტული ღონისძიების არასპორტული მიზნებისთვის გამოყენების დაუშვებლობა

1. FIFA-ს რეგულაციების სავალდებულო მნიშვნელობა

FIFA-ს წესდება და რეგულაციები წარმოადგენს საერთაშორისო საფეხბურთო სამართლის ნორმატიულ საფუძველს. FIFA-ს წევრი ასოციაციები ვალდებულნი არიან, დაიცვან ორგანიზაციის წესდება, რეგულაციები და შესაბამისი გადაწყვეტილებები, ხოლო ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ფეხბურთის მართვა საერთაშორისო საფეხბურთო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო სისტემა უნდა განიმარტოს FIFA-ს შესაბამის რეგულაციებთან, Fair Play-ის პრინციპებთან და სპორტული სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან თანხვედრაში.

ამასთან, FIFA-ს ყველა ნორმა ავტომატურად არ ანაცვლებს ეროვნულ სადისციპლინო დებულებას. მოცემულ საქმეში FIFA-ს კოდექსი გამოიყენება იმ საერთაშორისო პრინციპების დასადასტურებლად, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი დებულების მიზნებსა და მოთხოვნებს.

2. FIFA-ს დისციპლინური კოდექსის მე-13 მუხლი

FIFA-ს დისციპლინური კოდექსის მე-13 მუხლი, სახელწოდებით „შეურაცხმყოფელი ქცევა და Fair Play-ის პრინციპების დარღვევა“, ადგენს, რომ წევრმა ასოციაციებმა, კლუბებმა, ფეხბურთელებმა, ოფიციალურმა პირებმა და მათ სახელით მოქმედმა სხვა პირებმა უნდა დაიცვან თამაშის წესები, FIFA-ს წესდება, რეგულაციები, დირექტივები, სახელმძღვანელო მითითებები, ცირკულარები და გადაწყვეტილებები, აგრეთვე Fair Play-ის, ლოიალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები.

ამავე მუხლის მეორე პუნქტი სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესაძლო საფუძვლებად პირდაპირ ასახელებს:

ა) ქცევის ძირითადი წესების დარღვევას;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის შეურაცხყოფას, მათ შორის შეურაცხმყოფელი ჟესტების, ნიშნებისა და სიტყვების გამოყენებით;

გ) სპორტული ღონისძიების არასპორტული ხასიათის დემონსტრაციებისთვის გამოყენებას;

დ) ისეთ ქცევას, რომელიც ზიანს აყენებს ფეხბურთის ან FIFA-ს რეპუტაციას;

ე) ასაკობრივ შეზღუდვებთან დაკავშირებულ შეჯიბრებებში ფეხბურთელთა ასაკის შესახებ ინფორმაციის განზრახ შეცვლას.

<u>მოცემული საქმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს სპორტული ღონისძიების არასპორტული ხასიათის დემონსტრაციებისთვის გამოყენებას, როგორც შესაძლო სადისციპლინო პასუხისმგებლობის საფუძველს.</u>

აღნიშნული დებულება ადასტურებს, რომ საერთაშორისო საფეხბურთო სამართალი იცავს სპორტული ღონისძიების დანიშნულებას და არ მიიჩნევს მის გამოყენებას არასპორტული მიზნებისთვის ჩვეულებრივ ან დასაშვებ ქმედებად.

ფედერაცია არ ამტკიცებს, რომ ნებისმიერი პროტესტი ავტომატურად წარმოადგენს დისციპლინურ დარღვევას. გადამწყვეტია პროტესტის ფორმა, მისი განხორციელების გარემოებები და მატჩის ან ტურნირის მიმდინარეობაზე გავლენა.

მოცემულ საქმეში პროტესტის განხორციელების ფორმა უშუალოდ დაუკავშირდა მატჩის ჩაშლას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს როგორც სპორტული ღონისძიების არასპორტული მიზნებისთვის გამოყენების საკითხი და არა მხოლოდ როგორც გამოხატვის თავისუფლების ჩვეულებრივი განხორციელება.

3. გამოხატვის თავისუფლება და სპორტული ღონისძიების დანიშნულება

ფედერაცია პატივს სცემს გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას და არ ამტკიცებს, რომ სპორტსმენებს ან კლუბებს არ აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ან უკმაყოფილება.

თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ ნიშნავს შეკიბრების წესების უგულებელყოფის ან სხვა მონაწილეთა სპორტული უფლებების დარღვევის უფლებას.

სპორტული ღონისძიების ფარგლებში გამოხატვის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შეკიბრების წესებს და არ უნდა იწვევდეს მატჩის განზრახ ჩაშლას. როდესაც პროტესტი ხორციელდება ისეთი ფორმით, რომელიც მატჩის ნორმალურ მიმდინარეობას უშუალოდ აფერხებს, საკითხი სცდება მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გადადის სპორტული დისციპლინის დარღვევის სფეროში.

ამიტომ მოცემულ საქმეში სამართლებრივი შეფასების საგანია პროტესტის იდეა და მისი შინაარსის პოლიტიკური შეფასება, ასევე, მისი განხორციელების ფორმა და ის გარემოება, რომ შედეგად ჩაიშალა მატჩის ნორმალური მიმდინარეობა.

IV. CAS-ის პრეცედენტული პრაქტიკა და მისი მნიშვნელობა მოცემული საქმისთვის

სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) პრაქტიკა მნიშვნელოვანია სპორტული ორგანიზაციების დისციპლინური უფლებამოსილების, კლუბების პასუხისმგებლობის, სპორტული ღონისძიების დანიშნულების დაცვისა და სანქციების პროპორციულობის შეფასებისთვის.

ფედერაცია აღნიშნულ საქმეებს იყენებს არა როგორც მოცემული ფაქტების იდენტურ პრეცედენტებს, არამედ როგორც იმ სამართლებრივი პრინციპების განმარტების წყაროს, რომლებიც სპორტული დისციპლინისა და შეკიბრების წესრიგის დაცვას ემსახურება.

1. CAS 2007/A/1217, Feyenoord Rotterdam v. UEFA

აღნიშნული საქმე ეხებოდა Feyenoord-ის გულშემატკივართა მიერ UEFA-ს თასის მატჩის დროს განხორციელებულ მძიმე დარღვევებს, მათ შორის სტადიონზე მომხდარ არეულობასა და რასისტულ ქცევას.

UEFA-მ კლუბს თავდაპირველად ჯარიმა და პირობითი სანქცია დაუწესა, ხოლო სააპელაციო განხილვის შედეგად კლუბი მიმდინარე UEFA-ს თასის გათამაშებიდან გარიცხა. CAS-მა კლუბის საჩივარი არ დააკმაყოფილა და UEFA-ს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვანი იყო UEFA-ს დისციპლინური რეგულაციების საფუძველზე კლუბის პასუხისმგებლობის საკითხი. CAS-მა განმარტა, რომ შესაბამისი რეგულაციის ფარგლებში კლუბი პასუხისმგებელია საკუთარი ფეხბურთელების, ოფიციალური პირების, წევრების, გულშემატკივრებისა და მატჩთან დაკავშირებული სხვა პირების ქცევაზე, მიუხედავად იმისა, უშუალოდ კლუბმა მოაწყო თუ არა კონკრეტული ქმედება.

საქმისთვის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სპორტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების დაცვა ვერ იქნება მხოლოდ კლუბის სურვილზე დამოკიდებული. კლუბს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ მის სახელთან და მის სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებულმა პირებმა დაიცვან შეჯიბრების წესები.

აღნიშნული პრეცედენტი ასევე ადასტურებს, რომ მძიმე დისციპლინური დარღვევების შემთხვევაში სპორტული ორგანიზაციის მიერ გამოყენებული სანქცია შეიძლება იყოს მკაცრი, მათ შორის შეჯიბრებიდან დისკვალიფიკაცია, თუ ამას შესაბამისი რეგულაცია და საქმის გარემოებები ამართლებს.

მოცემულ საქმესთან მიმართებით ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუ კლუბს შესაბამისი UEFA-ს რეგულაციის საფუძველზე პასუხისმგებლობა ეკისრება გულშემატკივართა ქცევაზეც კი, მით უფრო მნიშვნელოვანია კლუბის პასუხისმგებლობის შეფასება მაშინ, როდესაც მატჩის ჩაშლაში უშუალოდ მისი ფეხბურთელები მონაწილეობენ.

ამასთან, ფედერაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში კლუბის პასუხისმგებლობა უნდა დადგინდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი სადისციპლინო დებულების საფუძველზე, ხოლო CAS-ის გადაწყვეტილება გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის პრინციპის განმარტებისთვის.

2. CAS 2013/A/3139, Fenerbahçe SK v. UEFA

აღნიშნული საქმე ეხებოდა Fenerbahçe-ს გულშემატკივართა მიერ მატჩთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს, მათ შორის პიროტექნიკის გამოყენებას, რომელიც სტადიონის ტერიტორიიდან მნიშვნელოვან მანძილზეც კი იქნა გაშვებული.

საქმის განხილვისას CAS-მა იმსჯელა UEFA-ს დისციპლინური რეგულაციების მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც კლუბები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ფეხბურთელების, ოფიციალური პირების, წევრების, გულშემატკივრებისა და კლუბის სახელით მატჩთან დაკავშირებული ფუნქციის შემსრულებელი სხვა პირების ქცევაზე.

CAS-მა განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ადგენდა კლუბის მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს. შესაბამისად, კლუბის პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელი არ იყო იმის მტკიცება, რომ კლუბმა თავად დაგეგმა ან უშუალოდ ორგანიზება გაუწია გულშემატკივართა ქმედებას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კლუბის მიერ უსაფრთხოების ზომების მიღება ავტომატურად არ ათავისუფლებდა მას მკაცრი პასუხისმგებლობისგან, თუმცა ასეთი გარემოებები შესაძლოა გათვალისწინებულიყო სანქციის პროპორციულობის შეფასებისას.

აღნიშნული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მოცემული საქმისთვის მდგომარეობს შემდეგში: სპორტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების ეფექტიანობა მოითხოვს, რომ კლუბმა პასუხისმგებლობა აიღოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული პირების ქცევაზე, როდესაც შესაბამისი რეგულაცია ასეთ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ფედერაციის პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში კლუბის პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და უშუალოა, რადგან განხილვის საგანი არ არის მხოლოდ გულშემატკივართა ქცევა. ორივე მატჩის ჩაშლაში მონაწილეობდნენ უშუალოდ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ ფეხბურთელები, ანუ პირები, რომლებიც კლუბის სპორტული საქმიანობის ძირითადი მონაწილეები არიან და უშუალოდ წარმოადგენენ მას მოედანზე.

შესაბამისად, თუ შესაბამისი რეგულაცია კლუბს პასუხისმგებლობას აკისრებს გულშემატკივართა ქცევაზეც კი, მით უფრო საფუძვლიანია კლუბის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მისი ფეხბურთელების მიერ უშუალოდ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

3. CAS 2014/A/3562, Josip Šimunić v. FIFA

აღნიშნულ საქმეში ხორვატმა ფეხბურთელმა Josip Šimunić-მა მატჩის დასრულების შემდეგ სტადიონზე არსებული მიკროფონი გამოიყენა და გულშემატკივრებთან ერთად წარმოთქვა სლოგანი „Za dom spremni“, რომელსაც ისტორიულად უკავშირდება დისკრიმინაციული და ექსტრემისტული კონოტაცია.

FIFA-მ ფეხბურთელი დამნაშავედ ცნო დისკრიმინაციული ქცევისთვის და დაუწესა 10 ოფიციალურ მატჩში მონაწილეობის აკრძალვა, სტადიონზე შესვლის აკრძალვა შესაბამისი მატჩების განმავლობაში და 30 000 შვეიცარიული ფრანკის ჯარიმა.

CAS-მა გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მიიჩნია, რომ სანქცია არ იყო არაპროპორციული. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქმედების სიმძიმეს, მის კონტექსტს, ფეხბურთელის მიერ სტადიონის აუდიტორიის ჩართვასა და იმ გარემოებას, რომ მოქმედება არ ყოფილა შემთხვევითი, არამედ განხორციელდა გააზრებულად.

აღნიშნული საქმე მოცემული საჩივრისთვის მნიშვნელოვანია იმ პრინციპით, რომ ფეხბურთელის სტატუსი და სტადიონის გამოყენება არასპორტული გზავნილის გასავრცელებლად შეიძლება წარმოშობდეს მძიმე სადისციპლინო პასუხისმგებლობას.

ფედერაცია არ ამტკიცებს, რომ „ლანჩხუთის“ ფეხბურთელთა ქმედება შინაარსობრივად იდენტურია Šimunić-ის საქმეში განხილული დისკრიმინაციული სლოგანისა. ამ პრეცედენტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სპორტული ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მიზნებისთვის, რომლებიც მის სპორტულ დანიშნულებას ეწინააღმდეგება და არღვევს სპორტული დისციპლინის მოთხოვნებს.

მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფეხბურთელებმა პროტესტი განახორციელეს უშუალოდ სტადიონზე და მათი ქმედებების შედეგად შეხვედრა ჩაიშალა. ეს გარემოება უნდა შეფასდეს როგორც სპორტული ღონისძიების დანიშნულების დარღვევა და არა მხოლოდ როგორც გამოხატვის თავისუფლების გამოყენება.

4. CAS 2018/A/6007, Jibril Rajoub v. FIFA

აღნიშნულ საქმეში პალესტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა Jibril Rajoub-მა საჯარო განცხადებებით მოუწოდა გულშემატკივრებს, პროტესტის ნიშნად სამიზნედ ექციათ არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია და გაენადგურებინათ ლიონელ მესის მაისურები და ფოტოები, ისრაელსა და არგენტინას შორის დაგეგმილი ამხანაგური მატჩის გამო.

FIFA-მ მას დაუწესა 12-თვიანი მატჩებში მონაწილეობის აკრძალვა და 20 000 შვეიცარიული ფრანკის ჯარიმა. CAS-მა 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა და სანქცია ძალაში დატოვა.

CAS-მა მიიჩნია, რომ ფეხბურთის ოფიციალური პირის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით სიძულვილისა და ძალადობისკენ წაქეზება არ ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების დაცულ ფარგლებში. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა განცხადებების სიმძიმე და ის გარემოება, რომ მათი გავრცელება სპორტულ ღონისძიებასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების რისკებს ქმნიდა.

<u>აღნიშნული საქმე მოცემული საჩივრისთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ სპორტული ღონისძიების გარშემო წარმოშობილი პროტესტი არ ათავისუფლებს მონაწილეს სპორტული სამართლის მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისგან.</u>

ფედერაცია ამ პრეცედენტს არ იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ „ლანჩხუთის" ფეხბურთელებმა სიძულვილისკენ ან ძალადობისკენ მოუწოდეს ვინმეს. მისი მნიშვნელობა უფრო ზოგადია: სპორტული ღონისძიების გამოყენება არასპორტული მიზნებისთვის, როდესაც ეს არღვევს ფეხბურთის წესრიგს ან ქმნის სხვა მონაწილეებისთვის მნიშვნელოვან რისკს, შეიძლება გახდეს სადისციპლინო პასუხისმგებლობის საფუძველი.

5. UEFA-ს პრაქტიკა Celtic FC-ის საქმეზე

2016 წელს UEFA-მ Celtic-ის გულშემატკივართა მიერ ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს ტრიბუნაზე გამოტანილი პოლიტიკური შინაარსის დროშებისა და ბანერების გამო კლუბს 10 000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

აღნიშნული შემთხვევა არ უნდა იქნეს წარმოდგენილი როგორც CAS-ის გადაწყვეტილება. იგი წარმოადგენს UEFA-ს სადისციპლინო პრაქტიკის მაგალითს, რომელიც აჩვენებს, რომ სპორტული ღონისძიების ტრიბუნების პოლიტიკური გზავნილებისთვის გამოყენება შეიძლება გახდეს კლუბის პასუხისმგებლობის საფუძველი.

ამ შემთხვევის მნიშვნელობა მოცემული საქმისთვის მდგომარეობს იმაში, რომ სპორტული ორგანიზაციები იცავენ შეკრებების სივრცეს არასპორტული მიზნებისთვის გამოყენებისგან მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული მოქმედება ძალადობრივ ხასიათს არ ატარებს.

<u>თუმცა, მოცემულ საქმეში დარღვევა კიდევ უფრო უშუალოდ უკავშირდება მატჩის ნორმალურ მიმდინარეობას, რადგან ფეხბურთელთა მოქმედებების შედეგად შეხვედრა ჩაიშალა.</u>

6. ზემოაღნიშნული პრეცედენტების საერთო სამართლებრივი მნიშვნელობა

ზემოაღნიშნული საქმეები სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებას ეხება, თუმცა მათში იკვეთება რამდენიმე საერთო სამართლებრივი პრინციპი:

1. სპორტული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან, დაიცვან შეკრებების წესრიგი და სპორტული ღონისძიების დანიშნულება.
2. შესაბამისი რეგულაციის არსებობის შემთხვევაში კლუბს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მის ფეხბურთელთა, ოფიციალურ პირთა და გულშემატკივართა ქცევაზე.
3. სპორტული ღონისძიების არასპორტული მიზნებისთვის გამოყენება შეიძლება გახდეს სადისციპლინო პასუხისმგებლობის საფუძველი.

4. გამოხატვის თავისუფლება არ გამორიცხავს სპორტული დისციპლინის მოთხოვნების დაცვას.

5. მძიმე დარღვევის შემთხვევაში სანქციის სიმკაცრე შეიძლება გამართლდეს დარღვევის ხასიათით, მისი შედეგებით, განმეორებითობითა და სპორტული წესრიგის დაცვის აუცილებლობით.

აღნიშნული პრინციპები სრულად შეესაბამება ფედერაციის პოზიციას, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ მიერ ორ სხვადასხვა მატჩში განხორციელებული მოქმედებები არ უნდა დარჩეს სათანადო სადისციპლინო რეაგირების გარეშე.

V. რატომ არის აუცილებელი ეფექტიანი სადისციპლინო რეაგირება: პრევენცია, სპორტული სივრცის დაცვა და უსაფრთხოება

1. გამყინავი ეფექტის თავიდან აცილება და ზოგადი პრევენცია

სპორტული დისციპლინის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, არ დაუშვას ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც კლუბს შეუძლია მატჩის ჩაშლა და ამით საკუთარი მოთხოვნების მიღწევა.

თუ მსგავსი ქმედება არ გამოიწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგს, სხვა მონაწილე კლუბებისთვისაც შეიძლება შეიქმნას არასწორი სტიმული, რომ პროტესტის ან უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით მატჩის ჩაშლა მისაღებ საშუალებად იქნეს აღქმული.

ამიტომ სანქციას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ კონკრეტული კლუბის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების, არამედ ზოგადი პრევენციის ფუნქციაც.

2. სპორტული სივრცის დანიშნულების დაცვა

სტადიონი და სპორტული ღონისძიება განკუთვნილია სპორტული შეჯიბრებისთვის. მისი გამოყენება არასპორტული მიზნებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მატჩის ნორმალურ მიმდინარეობას უშუალოდ აფერხებს, ეწინააღმდეგება სპორტის ძირითად დანიშნულებას.

ფედერაციას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, დაიცვას შეჯიბრების ნორმალური მიმდინარეობა და არ დაუშვას ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც მატჩის ჩატარება დამოკიდებული გახდება მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ საპროტესტო მოქმედებებზე.

3. აუდიტორიის მასშტაბი და რეპუტაციული პასუხისმგებლობა

საფეხბურთო მატჩი საჯარო სპორტული ღონისძიებაა. მას ესწრებიან გულშემატკივრები, მას აშუქებენ მედია და მაუწყებლები, ხოლო მისი ორგანიზება დაკავშირებულია სპონსორების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინტერესებთან.

მატჩის ჩაშლა უარყოფითად აისახება ტურნირის რეპუტაციაზე, ამცირებს შეჯიბრებისადმი ნდობას და ქმნის ორგანიზაციულ და კომერციულ რისკებს.

ფედერაცია არ ამტკიცებს, რომ მოცემულ შემთხვევებში უკვე დადასტურებულია კონკრეტული ფინანსური ზარალი ან სპონსორის მიერ თანამშრომლობის შეწყვეტა. თუმცა, მსგავსი ქმედებები თავისი ბუნებით აზიანებს ტურნირის სანდოობას და ქმნის პარტნიორებისა და მაყურებლის ნდობის დაკარგვის რეალურ რისკს.

4. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობა

სპორტული ღონისძიების დროს წინასწარ დაგეგმილი არასპორტული დემონსტრაცია შეიძლება გახდეს დამატებითი დაპირისპირების, პროვოკაციისა და უსაფრთხოების პრობლემების წარმოშობის საფუძველი.

ეს არ ნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში აუცილებელია მასობრივი არეულობის ან ძალადობის ფაქტის არსებობა. სადისციპლინო პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს თავად მატჩის განზრახ ჩაშლა და სპორტული წესრიგის დარღვევა.

თუმცა ორგანიზატორისა და სპორტული ორგანიზაციის ვალდებულებაა, დაიცვან ისეთი გარემო, რომელშიც მატჩები ტარდება უსაფრთხოდ, პროგნოზირებადად და დადგენილი წესების შესაბამისად.

5. კეთილსინდისიერი კლუბებისა და ფეხბურთელების უფლებების დაცვა

ქალთა ეროვნული ლიგის სხვა მონაწილე კლუბები და ფეხბურთელები ვალდებულნი არიან, დაიცვან შეჯიბრების კალენდარი, მოემზადონ მატჩებისთვის და შეასრულონ სპორტული ვალდებულებები.

მათ აქვთ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მეტოქე გუნდიც იმავე წესებს დაიცავს და მატჩი ჩატარდება ნორმალური სპორტული პირობებით.

როდესაც ერთი გუნდი წინასწარ გეგმავს მატჩის ჩაშლას, ზიანი ადგება არა მხოლოდ კონკრეტულ შეხვედრას, არამედ მეტოქე გუნდისა და მისი ფეხბურთელების სპორტულ ინტერესებსაც.

ამიტომ შესაბამისი სანქცია ემსახურება არა მხოლოდ დამრღვევი კლუბის დასჯას, არამედ კეთილსინდისიერი მონაწილეების უფლებების დაცვასაც.

VI. ტურნირისთვის მიყენებული ზიანი

საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" მიერ ორ სხვადასხვა მატჩში განხორციელებულმა ქმედებებმა ზიანი მიაყენა ქალთა ეროვნული ლიგის სპორტულ, ორგანიზაციულ და რეპუტაციულ ინტერესებს.

1. ორგანიზაციული ზიანი

მატჩის ჩატარება მოითხოვს ორგანიზაციული რესურსების მობილიზებას. შეხვედრისთვის მზადდება სტადიონი, ინიშნება მსაჯები, უზრუნველყოფილია სამედიცინო და უსაფრთხოების მომსახურება, ოგეგმება გუნდების გადაადგილება და სხვა ტექნიკური საკითხები.

როდესაც გუნდი წინასწარ განზრახული მოქმედებებით მატჩს ჩაშლის, აღნიშნული რესურსები ვერ ემსახურება მათ ძირითად დანიშნულებას. ორგანიზატორს კი უწევს გაუმკლავდეს შეჯიბრების კალენდრისა და მატჩის ჩატარების შეფერხებით გამოწვეულ შედეგებს.

2. სპორტული ზიანი

მატჩის ჩაშლა პირდაპირ არღვევს მეტოქე გუნდის სპორტულ ინტერესებს. გუნდი, რომელიც მზად არის თამაშისთვის და ასრულებს შეჯიბრების წესებით ნაკისრ ვალდებულებებს, მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი სპორტული შედეგი მოედანზე დაადასტუროს.

ეს ქმნის უსამართლო მდგომარეობას, რადგან ერთი გუნდის მიერ განხორციელებული ქმედება გავლენას ახდენს მეორე გუნდის სპორტულ შესაძლებლობებზე და შეჯიბრების საერთო სამართლიანობაზე.

3. ტურნირის რეპუტაციული ზიანი

მსგავსი შემთხვევების განმეორება ქმნის წარმოდგენას, რომ ქალთა ეროვნული ლიგის მატჩები შეიძლება წინასწარ დაგეგმილი საპროტესტო მოქმედებებით ჩაიშალოს და შეჯიბრების წესები არ იყოს დაცული.

ეს უარყოფითად აისახება ქალთა ფეხბურთის საერთო იმიჯზე, მაყურებლის ნდობასა და ტურნირის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე.

4. სპონსორებისა და პარტნიორების ინტერესები

ტურნირის ორგანიზება და განვითარება დამოკიდებულია პარტნიორების, სპონსორებისა და მაუწყებლების ნდობაზე. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრება ჩატარდეს სტაბილურად და წინასწარ განსაზღვრული წესების დაცვით.

მატჩების ჩაშლა ქმნის რეპუტაციულ და კომერციულ რისკებს, რადგან ამცირებს ტურნირის პროგნოზირებადობასა და ორგანიზაციულ სანდოობას.

5. ქალთა ფეხბურთის განვითარების ინტერესები

ქალთა ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელია სტაბილური და სანდო შეჯიბრების არსებობა. ეროვნული ლიგა წარმოადგენს იმ ძირითად სპორტულ სივრცეს, სადაც ფეხბურთელები ვითარდებიან, კლუბები ეჯიბრებიან ერთმანეთს და მაყურებელი ქალთა ფეხბურთის მიმართ ინტერესს იჩენს.

მატჩების განზრახ ჩაშლის პრაქტიკის დაუშვებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა ფეხბურთის მიმართ ნდობის შესანარჩუნებლად და შეჯიბრების გრძელვადიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

VII. სანქციის მიზნები, პრაქტიკული ეფექტიანობა და პირობითი სპორტული პასუხისმგებლობის აუცილებლობა

1. სადისციპლინო სანქციის სამართლებრივი მიზნები

სადისციპლინო სანქცია არ არის თვითმიზანი. მისი დანიშნულებაა დარღვეული წესრიგის აღდგენა, პასუხისმგებლობის დაკისრება, მსგავსი დარღვევების პრევენცია და სპორტული სამართლიანობის დაცვა.

სპორტულ სამართალში სანქციას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს:

პასუხისმგებლობის ფუნქცია: დარღვევის ჩამდენმა კლუბმა და ფეხბურთელმა უნდა გააცნობიერონ, რომ შეჯიბრების წესების დარღვევას რეალური სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

სპეციალური პრევენცია: სანქციამ კონკრეტულ დამრღვევს უნდა შეუქმნას მოტივაცია, მომავალში მსგავსი ქმედება აღარ გაიმეოროს.

ზოგადი პრევენცია: სანქციამ სხვა კლუბებსა და ფეხბურთელებსაც უნდა აჩვენოს, რომ მატჩის განზრახ ჩაშლა დაუშვებელია და მას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.

აღმზრდელობითი ფუნქცია: სანქციამ დამრღვევს უნდა მისცეს შესაძლებლობა, გამოასწოროს ქცევა და მომავალში დაიცვას სპორტული წესები.

სპორტული წესრიგის აღდგენა: სანქციამ უნდა უზრუნველყოს შეკიბრების სამართლიანი და ნორმალური მიმდინარეობის დაცვა.

2. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რატომ ექნება სანქციას რეალური შედეგი:

2026 წლის სეზონში მომხდარი დარღვევების გათვალისწინებით, საჭირო ა შეფასდეს, რამდენად ექნება მიმდინარე სეზონში დაკისრებულ სანქციას რეალური სპორტული ეფექტი.

თუ მიმდინარე სეზონის კალენდარი ფაქტობრივად ამოწურულია და კლუბს აღარ აქვს მნიშვნელოვანი სატურნირო მიზნები, მიმდინარე სეზონში შეზღუდვის დაწესებამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს სანქციის სათანადო პრევენციული და აღმზრდელობითი შედეგი.

სანქციის ეფექტიანობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ მისი ფორმალური სიმკაცრით. მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს რეალური გავლენა დამრღვევის მომავალ ქცევაზე და შეეძლოს მსგავსი დარღვევების თავიდან აცილება.

სწორედ ამიტომ, ფედერაცია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში პირობითი სანქციის გამოყენება შეიძლება იყოს ეფექტიანი სამართლებრივი საშუალება, რადგან იგი კლუბსა და ფეხბურთელებს მომავალ სეზონშიც შეუნარჩუნებს პასუხისმგებლობის რეალურ რისკს.

ამასთან, სანქციის მომდევნო სეზონზე დაკავშირება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სანქცია ავტომატურად და უპირობოდ უნდა აღსრულდეს მომავალ სეზონში. პირობითი სანქციის არსი სწორედ ისაა, რომ იგი დაკისრებულია განსაზღვრული გამოსასწორებელი ვადით და რეალურად აღსრულდება დებულებით გათვალისწინებული შემდგომი დარღვევის შემთხვევაში.

3. სადისციპლინო დებულების 33-ე მუხლის გამოყენება

სადისციპლინო დებულების 33-ე მუხლი ითვალისწინებს პირობითი სპორტული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სადისციპლინო ორგანოს შეუძლია, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვროს, რომ დაკისრებული სპორტული სანქცია არ აღსრულდეს დაუყოვნებლივ და მას მიენიჭოს პირობითი ხასიათი.

მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, პირობითი სპორტული სანქციის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელ ძირითად სპორტულ სანქციასთან ერთად.

მესამე პუნქტის თანახმად, პირობითი სანქციის გამოყენებისას უნდა შეფასდეს დისციპლინური დარღვევის ხასიათი, მისი საზოგადოებრივი და სპორტული საფრთხის ხარისხი, დამრღვევის პიროვნება, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

მეოთხე პუნქტი ადგენს გამოსასწორებელ ვადას სამ თვიდან ორ წლამდე, რომლის განმავლობაშიც პირმა თავისი ქცევით უნდა დაადასტუროს, რომ გამოასწორა დარღვევა.

მეხუთე პუნქტის მიხედვით, პირობითი სპორტული სანქციის სახით დასაშვებია დისკვალიფიკაცია, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა, უმაყურებლოდ მატჩის ჩატარება ან ნეიტრალურ სტადიონზე მატჩის ჩატარება. სხვა პირობითი სპორტული სანქციების გამოყენება დაუშვებელია.

აღნიშნული მუხლის მეექვსე პუნქტი განსაზღვრავს, რომ გამოსასწორებელ პერიოდში შესაბამისი ახალი დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, რომლისთვისაც

შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეხუთე პუნქტით განსაზღვრული სანქცია, პირობითი სანქციის აღსრულების საკითხი უნდა გადაწყდეს სადისციპლინო ორგანოს მიერ.

შესაბამისად, ფედერაცია ითხოვს, რომ კომიტეტმა გამოიყენოს 33-ე მუხლით გათვალისწინებული მექანიზმი და საქმის გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვროს პირობითი სანქციები.

4. კლუბის მიმართ პირობითი დისკვალიფიკაცია

ფედერაცია მიიჩნევს, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" ქმედებები თავისი ხასიათით, განმეორებითობითა და წინასწარი განზრახვის ნიშნებით წარმოადგენს ისეთ დარღვევას, რომლის მიმართაც აუცილებელია ეფექტიანი და შემაკავებელი სანქციის გამოყენება.

ორი სხვადასხვა მატჩის ჩაშლა მიუთითებს, რომ საქმე არ გვაქვს მხოლოდ ერთჯერად შემთხვევასთან. მსგავსი მოქმედებების განმეორება ზრდის იმის რისკს, რომ კლუბმა მომავალშიც გამოიყენოს მატჩის ჩაშლა საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებად.

ფედერაცია ითხოვს, რომ სადისციპლინო დებულების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კლუბის მიმართ გამოყენებულ იქნეს მომავალ სეზონში დისკვალიფიკაცია პირობითად.

კლუბის მიმართ მოთხოვნილი პირობითი სანქცია უნდა განისაზღვროს 24-თვიანი გამოსასწორებელი ვადით, რომელიც მოიცავს მომდევნო სეზონებს. თუ კლუბი აღნიშნულ ვადაში ჩაიდენს ისეთ ახალ დისციპლინურ დარღვევას, რომლისთვისაც 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება იქნება შესაძლებელი, კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს პირობითი დისკვალიფიკაციის აღსრულების საკითხი.

5. ფეხბურთელთა მიმართ პირობითი დისკვალიფიკაცია

ფეხბურთელთა პასუხისმგებლობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მათგანმა პირადად მიიღო მონაწილეობა მატჩის ჩაშლისკენ მიმართულ მოქმედებებში.

ფედერაცია ითხოვს, რომ თითოეულ ჩამოთვლილ ფეხბურთელს, მისი ინდივიდუალური მონაწილეობისა და ბრალის გათვალისწინებით, დაეკისროს პირობითი დისკვალიფიკაცია.

ფედერაცია ითვალისწინებს, რომ 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირობითი სანქცია გამოიყენება ძირითად სპორტულ სანქციასთან ერთად. შესაბამისად, კომიტეტმა უნდა განსაზღვროს ძირითადი სანქციის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და მასთან ერთად გადაწყვიტოს პირობითი დისკვალიფიკაციის გამოყენება.

ფედერაცია ითხოვს 24-თვიანი გამოსასწორებელი ვადის განსაზღვრას, რათა პირობითმა სანქციამ მოიცვას მომდევნო სეზონები და უზრუნველყოს ფეხბურთელთა მხრიდან მსგავსი ქმედებების განმეორების პრევენცია.

პირობითი დისკვალიფიკაცია მიზნად ისახავს არა მხოლოდ უკვე ჩადენილ დარღვევაზე რეაგირებას, არამედ მომავალში ფეხბურთელთა მხრიდან შეუხებრების წესების დაცვასაც.

6. პროპორციულობის შეფასება

ფედერაცია მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი პირობითი სანქციები შეესაბამება დარღვევების ხასიათსა და სიმძიმეს.

პროპორციულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები:

- დარღვევები განხორციელდა ორ სხვადასხვა მატჩში;

- ორივე შემთხვევაში მოქმედებდა ერთი და იგივე კლუბი;
- ქმედებათა სქემა არსებითად განმეორდა;
- გარემოებები მიუთითებს წინასწარი განზრახვის არსებობაზე;
- მატჩები ჩაიშალა;
- დარღვევებმა გავლენა მოახდინა მეტოქე გუნდების სპორტულ ინტერესებზე;
- მსგავსი ქმედებების დაუსჯელობამ შეიძლება შექმნას მათი განმეორების რისკი.

პირობითი სანქცია ამავე დროს ინარჩუნებს გამოსწორების შესაძლებლობას. კლუბსა და ფეხბურთელებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოსასწორებელ პერიოდში თავიანთი ქცევით დაადასტურონ, რომ მომავალში დაიცავენ შეკიბრების წესებს.

შესაბამისად, პირობითი დისკვალიფიკაცია წარმოადგენს პასუხისმგებლობისა და პრევენციის დაბალანსებულ სამუალებას.

VIII. ფეხბურთელთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და მონაწილეთა ჩამონათვალი

ფედერაცია ითხოვს, რომ ფეხბურთელთა პასუხისმგებლობა განისაზღვროს ინდივიდუალურად, თითოეული მათგანის მონაწილეობის, მოქმედებებისა და შესაბამისი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე.

ფეხბურთელის პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს მისი პირადი მონაწილეობა, ქმედების ხასიათი, განზრახვა და ის გარემოებები, რომლებიც ადასტურებს მის კავშირს მატჩის ჩაშლისკენ მიმართულ მოქმედებებთან.

ფედერაცია არ ითხოვს ფეხბურთელთა პასუხისმგებლობის ავტომატურად დაკისრებას მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი ერთი გუნდის წევრები არიან. თითოეული მათგანის მიმართ გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს ინდივიდუალურ მტკიცებულებებს.

1. ორივე მატჩში მონაწილე ფეხბურთელები

ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები, წარმოდგენილი ინფორმაციისა და თანდართული მტკიცებულებების მიხედვით, მონაწილეობდნენ როგორც 2026 წლის 29 სექტემბრის, ისე 2026 წლის 11 ნოემბრის მატჩის ჩაშლისკენ მიმართულ მოქმედებებში:

1. [redacted]
2. [redacted]
3. [redacted]
4. [redacted]
5. [redacted]
6. [redacted]
7. [redacted]
8. [redacted]
9. [redacted]

10. [redacted]
11. [redacted]
12. [redacted]
13. [redacted]

ფედერაცია ითხოვს, რომ აღნიშნული ფეხბურთელების მიმართ, მათი ორჯერადი მონაწილეობის გამო, გამოყენებულ იქნეს 10 მატჩიანი პირობითი დისკვალიფიკაცია.

2. მხოლოდ 2026 წლის 29 სექტემბრის მატჩში მონაწილე ფეხბურთელები

ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ მხოლოდ 2026 წლის 29 სექტემბრის მატჩთან დაკავშირებულ მოქმედებებში:

1. [redacted]
2. [redacted]
3. [redacted]
4. [redacted]

ფედერაცია ითხოვს, რომ აღნიშნული ფეხბურთელების მიმართაც, მათი ინდივიდუალური მონაწილეობის პროპორციულად, გამოყენებულ იქნას 5 მატჩიანი პირობითი დისკვალიფიკაცია.

3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მტკიცებულებითი საფუძველი

ფეხბურთელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას კომიტეტმა უნდა შეაფასოს:

- თითოეული ფეხბურთელის მონაწილეობა შესაბამის მატჩში;
- ვიდეომასალაში ასახული მოქმედებები;
- მატჩის ოფიციალური ანგარიშები და მსაჯთა ჩანაწერები;
- კლუბის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული მასალები;
- წინასწარი განზრახვის დამადასტურებელი გარემოებები;
- ფეხბურთელთა ქცევა მატჩის დაწყებამდე და მისი შეწყვეტის მომენტში.

IX. დასკვნა და რეზოლუციური ნაწილი

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო დებულების და Fair Play-ისა და კეთილსინდისიერების პრინციპების, აგრეთვე CAS-ის პრეცედენტული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ მიერ 2026 წლის 29 სექტემბერსა და 11 ნოემბერს განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს მძიმე დისციპლინურ დარღვევებს, რომლებზეც აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ორივე შემთხვევაში გუნდის მოქმედებები მიმართული იყო მატჩის ნორმალური მიმდინარეობის ჩაშლისკენ. მოედანზე ფორმალური გამოსვლა ვერ შეცვლის ქმედების არსს, რადგან გუნდს რეალურად არ ჰქონდა მატჩში მონაწილეობის განზრახვა და მისი მოქმედებები წინასწარ დაგეგმილ საპროტესტო სცენარს ემსახურებოდა.

აღნიშნული დარღვევები განმეორდა ორი სხვადასხვა მატჩის ფარგლებში და ზიანი მიაყენა არა მხოლოდ კონკრეტულ შეხვედრებს, არამედ ქალთა ეროვნული ლიგის სპორტულ, ორგანიზაციულ და რეპუტაციულ ინტერესებს.

ფედერაცია საჭიროდ მიიჩნევს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში კომიტეტის მიერ გადასაწყვეტი საკითხი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, ექცევა თუ არა სადავო ქმედებები სადისციპლინო კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დეფინიციის ფარგლებში. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომიტეტი არ გაიზიარებს ფედერაციის სამართლებრივ პოზიციას და მიიჩნევს, რომ განსახილველი ფაქტობრივი გარემოებები 86-ე მუხლის შემადგენლობას არ ქმნის, აღნიშნული თავისთავად არ გამორიცხავს ქმედებათა სადისციპლინო სამართლებრივ შეფასებას და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ფედერაციის მოთხოვნის არსი მდგომარეობს არა კონკრეტული მუხლის ფორმალური გამოყენების მიღწევაში, არამედ იმაში, რომ დადგენილ ფაქტებს მიეცეს მათი რეალური შინაარსის, მიზნის, ხასიათის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგების შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, ხოლო ჩადენილი დარღვევისათვის განისაზღვროს პროპორციული და ეფექტიანი სანქცია. შესაბამისად, 86-ე მუხლის გამოყენების საკითხი წარმოადგენს სამართლებრივი კვალიფიკაციის ერთ-ერთ შესაძლო გზას და არა ფედერაციის მოთხოვნის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს.

კომიტეტი, როგორც სადისციპლინო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია შეაფასოს საქმის მასალებით დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებები მთლიანობაში და განსაზღვროს, თუ რომელი სადისციპლინო ნორმა შეესაბამება ყველაზე სრულად ჩადენილი ქმედების არსებით ნიშნებს. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ ქმედების გარეგნულ ფორმას, არამედ მის რეალურ შინაარსს, მონაწილე პირთა ქცევას, ქმედების მიზანმიმართულობას, განმეორებითობასა და ფეხბურთის მატჩისა და მთლიანად ტურნირის მიმდინარეობაზე მის გავლენას.

ამასთან, სადისციპლინო ნორმის შერჩევა არ უნდა იქცეს იმგვარ ფორმალურ დაბრკოლებად, რომელიც დადგენილი დარღვევის სათანადო სამართლებრივი შეფასებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას გამორიცხავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნებოდა ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომლის მიხედვითაც, ქმედება, რომელმაც რეალურად ჩაშალა ან არსებითად შეაფერხა ოფიციალური საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობა, პასუხისმგებლობის მიღმა დარჩებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კომიტეტმა იგი ფედერაციის მიერ მითითებულ კონკრეტულ მუხლს არ მიაკუთვნა. ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა სადისციპლინო რეგულირების მიზანთან, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს შეჯიბრების წესრიგის დაცვას, მონაწილეთა მიერ დადგენილი ვალდებულებების შესრულებასა და მსგავსი დარღვევების პრევენციას.

ფედერაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხზე განსხვავებული შეფასება არ უნდა იქნეს გაიგივებული დარღვევის არარსებობასთან. თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ განსახილველი ქმედებები 86-ე მუხლის ნაცვლად სადისციპლინო კოდექსის სხვა ნორმით გათვალისწინებულ გადაცდომას წარმოადგენს, მან უნდა მიუთითოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, დაადგინოს ამ ნორმის შემადგენლობის შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს დარღვევის სიმძიმისა და შედეგების თანაზომიერი სანქცია.

ამასთან, ფედერაციის მიერ მოთხოვნილი სანქციების საკითხი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დარღვევის ფორმალური დასახელების, არამედ მისი ფაქტობრივი სიმძიმის, განმეორებითობის, განზრახი ხასიათის, მატჩის მიმდინარეობაზე ზემოქმედებისა და ტურნირის ინტერესებისთვის შექმნილი საფრთხის გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ეხება ერთჯერად, შემთხვევით ან უმნიშვნელო გადაცდომას. წარმოდგენილი მასალები მიუთითებს მსგავსი ხასიათის ქმედებების განმეორებაზე, რაც ზრდის დარღვევის საზოგადოებრივ და სპორტულ მნიშვნელობას და ამართლებს უფრო მკაცრი, პრევენციული ეფექტის მქონე სანქციის განხილვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციის მიერ მოთხოვნილი სანქციების მიზანი არ არის სადისციპლინო პასუხისმგებლობის დასჯითი ბუნების თვითმიზნად ქცევა. მათი მიზანია დარღვევის სიმძიმის შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, საფეხბურთო შეჯიბრების ნორმალური მიმდინარეობის დაცვა, მსგავსი ქმედებების განმეორების პრევენცია და ყველა კლუბისა თუ მონაწილე პირისთვის მკაფიო გზავნილის მიწოდება, რომ მატჩის ჩაშლა ან მისი ნორმალური მიმდინარეობის ხელშეშლა ვერ გახდება სადისციპლინო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალება.

შესაბამისად, ფედერაცია კომიტეტს სთხოვს, არ შემოიფარგლოს მხოლოდ 86-ე მუხლის გამოყენების ან გამოუყენებლობის საკითხის გადაწყვეტით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომიტეტი არ გაიზიარებს ფედერაციის მიერ შეთავაზებულ სამართლებრივ კვალიფიკაციას, მან უნდა შეაფასოს დადგენილი ფაქტები სადისციპლინო კოდექსის სხვა შესაბამისი ნორმების საფუძველზე და, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, განსაზღვროს ისეთი სანქცია, რომელიც თავისი ხასიათითა და სიმკაცრით შეესაბამება ჩადენილი ქმედების რეალურ სიმძიმესა და მის შედეგებს.

ფედერაციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ კონკრეტულად რომელი მუხლის საფუძველზე მოხდება პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ იმას, რომ დადგენილი დარღვევა არ დარჩეს სათანადო სამართლებრივი რეაგირების გარეშე და მისთვის გამოყენებული სანქცია იყოს სამართლიანი, პროპორციული, ეფექტიანი და პრევენციული.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სთხოვს სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტს:**

ვინაიდან წინამდებარე საქმეში ძირითად სანქციას წარმოადგენს /შესაბამისი მატჩების ანგარიშით 0:3 წაგებად ჩათვლა, ფედერაცია დამატებით სანქციებად ითხოვს:

1. 2026 წლის 29 სექტემბერს გამართულ საპრომეტესტო მოქმედებაში მონაწილე ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების მიმართ გამოყენებულ იქნეს პირობითი დისკვალიფიკაცია მომდევნო სეზონში გასამართი 5 მატჩით: [redacted]

აღნიშნული პირობითი სანქცია დაექვემდებაროს რეალურ აღსრულებას იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ფეხბურთელი გამოსაცდელი ვადის (24 თვე) განმავლობაში ჩაიდენს იმავე ან არსებითად მსგავს ქმედებას, რომელიც გამოიწვევს ან მიზნად ისახავს საფეხბურთო მატჩის ჩაშლას, შეწყვეტას ან მისი ნორმალური მიმდინარეობის ხელშეშლას.

2. 2026 წლის 29 სექტემბერსა და 2026 წლის 11 ნოემბერს განხორციელებულ ორივე საპრომეტესტო მოქმედებაში მონაწილე ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების მიმართ გამოყენებულ იქნეს პირობითი დისკვალიფიკაცია მომდევნო სეზონში გასამართი 10 მატჩით: [redacted];

აღნიშნული პირობითი სანქცია დაექვემდებაროს რეალურ აღსრულებას იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ფეხბურთელი გამოსაცდელი ვადის (24 თვე) განმავლობაში კვლავ ჩაიდენს იმავე ან არსებითად მსგავს ქმედებას, რომელიც გამოიწვევს ან მიზნად ისახავს საფეხბურთო მატჩის ჩაშლას, შეწყვეტას ან მისი ნორმალური მიმდინარეობის ხელშეშლას.

3. ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის" მიმართ გამოყენებულ იქნეს პირობითი დისკვალიფიკაცია მომდევნო სრული სეზონის განმავლობაში. აღნიშნული პირობითი სანქცია დაექვემდებაროს რეალურ აღსრულებას იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი ვადის (24 თვე) განმავლობაში კლუბის ფეხბურთელების, ოფიციალური პირების ან გულშემატკივრების მხრიდან განმეორდება წინამდებარე საქმეში განხილული ან მასთან არსებითად გათანაბრებული ხასიათის ქმედება, რომელიც გამოიწვევს ან მიზნად ისახავს მატჩის ჩაშლას, შეწყვეტას ან ტურნირის ნორმალური მიმდინარეობის შეფერხებას, იმ პირობით, რომ შესაბამისი ქმედება მოქმედი სადისციპლინო რეგულაციების საფუძველზე კლუბს მიეკუთვნება და წარმოშობს მის პასუხისმგებლობას.

ა(ა)იპს „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის"

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი